საზოგადოებრივ-პოლიტიკური
დამოუკიდებელი გაზეთი

599-908-918
599-233-390

E-mail: gazetirustavi@gmail.com,
gazetirustavi@mail.ru

რუსთავი

გაზეთი
გამოდის
1948 წლიდან

30
აპრილი 2024 წ.
№2
(109754)
ფასი 50 თეთრი

განათლების მინისტრი გიორგი ამილახვარი რუსთავის საჯარო სკოლების პედაგოგებს შეხვდა

პარლამენტში რუსთავის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს

მეცნიერ შალვა ამონაშვილის აკადემიასთან ერთად, სკოლამდელი აღზრდის სფეროში ახალი პროექტის განხორციელება დაიწო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

„მართე შენი ქალაქის“ მეშვიდე ეტაპი დაიწყო

რუსთავის მერია ანაზღაურებადი სტაჟირების ინიციატივას ეხმაურება და ახალგაზრდების დასაქმების ეკოპროექტს ახორციელებს

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე პარტია "გახარია საქართველოსთვის" წევრი ნოდარ შეროზია თანამდებობიდან გადააყენეს. ამის შესახებ გადაწყვეტილება რუსთავის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მიიღეს.

„ქართული ოცნების" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თავმჯდომარის გადაყენებას მხარი საკრებულოს 18-მა წევრმა დაუჭირა.

„რუსთავის საკრებულოს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ" რამდენიმე დღის წინ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, ჩანიშნულიყო რიგგარეშე სხდომა, რომელზეც ძირითად საკითხებად იქნებოდა სწორედ საკრებულოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების გადაყენების საკითხი.

გავრცელებულ განცხადებაში ფრაქცია „ქართული ოცნება" აღნიშნავდა, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს შემადგენლობა ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჯეროვნად ვერ ასრულებდა საკუთარ მოვალეობებს.

არაერთხელ ჰქონდა ადგილი საკრებულოს მხრიდან საბოტაჟის მცდელობას, რაც გამოიხატებოდა ბიუჯეტის დამტკიცების ხელისშეშლაში, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის უარყოფითად შეფასებაში, კონკრეტული პროექტების შეფერხებაში, მოქალაქეების პოზიციების გაუთვალისწინებლობაში და ა.შ.

საკრებულოს რეგლამენტის უხეში დარღვევების გარდა შრომის ინსპექციამ და შემდეგ უკვე საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა საკრებულოს ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლო და უკანონო ქმედებები აპარატის თანამშრომელთა მიმართაც.

ცოტა ხნის წინ ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას" გამოეყო და პარტიიდან გავიდა ფრაქციის ოთხი წევრი, რაც კიდევ ერთი დამატებითი საფუძველი აღმოჩნდა „ქართული ოცნების" გუნდისთვის, რომ დაეწყო რუსთავის საკრებულოს ოპოზიციური უმრავლესობის თანამდებობებიდან გადაყენების პროცესი", - ნათქვამია პარტია „ქართული ოცნების" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ აშშ-ის ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ახალი პარტნიორების წარდგენისა და მუნიციპალიტეტებთან ერთად მიღწეული პროგრესის შემაჯამებელ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ნინო ლაცაბიძემ რუსთავის მერიაში მიმდინარე მუნიციპალური სერვისების რეფორმაზე ისაუბრა, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი თვითმმართველობების

პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოში პირველი მუნიციპალური სერვისების ცენტრი რუსთავში გაიხსნა.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელმძღვანელმა კევინ მაკლოკინმა, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო რუხაძემ, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ კახა კახიშვილმა, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანმა.

შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა პროგრამის ახალ პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიზანი, საქართველოში დეცენტრალიზაციისა და საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა და ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტიანობის გაზრდაა. პროგრამა საქართველოს 22 მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

განათლების მინისტრი გიორგი ამილახვარი რუსთავის საჯარო სკოლების პედაგოგებს შეხვდა

შეხვედრას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლში გიორგი დოხტურიშვილი და პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი ესწრებოდნენ.

რუსთავის ახლადრეაბილიტირებულ მე-18 საჯარო სკოლაში შეკრებილ 150 პედაგოგს, გიორგი ამილახვარი მასწავლებელთა მხარდაჭერის, მათი პროფესიული განვითარების გეგმებზე და ახალ სახელფასო პოლიტიკაზე ესაუბრა.

საუბარი შეეხო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტის შემუშავებას და ეროვნულ სასწავლო გეგმასაც.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის საინტერესო საკითხებზე, უშუალოდ მინისტრისგან მიეღოთ ინფორმაცია.

გიორგი ამილახვარის ინიციატივით, მასწავლებლების წინაშე არსებულ პრობლემებზე დროული რეაგირების მიზნით, პედაგოგებთან შეხვედრები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეტაპობრივად იმართება.

რუსთავის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს

ნინო ლაცაბიძე:

— საქართველოში უკვე 32 საწარმოში მუშაობს თვითმონიტორინგის სისტემა და მათი დიდი ნაწილი რუსთავშია. ეს ჩვენი გუნდის ერთობლივი შრომის შედეგია, მაგრამ ჯერ კიდევ ვდგავართ ბევრი გამოწვევის წინაშე, რაც აუცილებლად უნდა დავძლიოთ, რომ რუსთაველებმა ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ვიცხოვროთ.”

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რუსთავის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს.

შეხვედრაზე რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ მუნიციპალიტეტის მიერ ჰაერის მართვის გეგმის მიხედვით განხორციელებული სამუშაოს ანგარიში წარადგინა.

ნინო ლაცაბიძემ ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შესრულების თაობაზე ისაუბრა და ის ღონისძიებები შეაჯამა, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად რუსთავში გატარდა.

შეხვედრას რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი ალექსანდრე დალაქიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების” წევრები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტის, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ მაია ბითაძემ აღნიშნა, ატმოსფერული ჰაერის დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელზეც კომიტეტი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და მუნიციპალიტეტებთან ერთად აქტიურად მუშაობს.

მისივე თქმით, კომიტეტი კვლავ გააგრძელებს რუსთავის მერიასთან თანამშრომლობას, რათა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგას ქალაქის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქალაქში ფუნქციონირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განმსაზღვრელი ორი სადგური, მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად ახორციელებს პროექტებს, რომლებიც რუსთავის ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის მიხედვითაა გაწერილი.

ევროსტანდარტების შესაბამისი 40 ახალი ავტობუსი, მოქმედი საწარმოების სისტემატიური მონიტორინგი, ენერგოეფექტური პროექტები, ახალი რეკრეაციული ზონები, ეკოპროექტები, ჭალის ტყის განვითარების გეგმა, რომელსაც მუნიციპალიტეტი გარემოს დაცვის სამინისტროსთან და შვედეთის განვითარების სააგენტოსთან ერთად ახორციელებს, იმ პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომელიც რუსთავში, ბოლო ორ წელიწადში, ეკოლოგიის გასაუმჯობესებლად, მუნიციპალიტეტმა გარემოს დაცვის სამინისტროსთან და საქართველოს პარლამენტთან ერთად განახორციელა.

რუსთავის მერიამ მეცნიერ შალვა ამონაშვილის აკადემიასთან ერთად, სკოლამდელი აღზრდის სფეროში ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო

პროექტი - „სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის ჰუმანიზაცია რუსთავში“, ქალაქის მერის ნინო ლაცაბიძის და აკადემიკოს შალვა ამონაშვილის ინიციატივით ხორციელდება.

პროექტი რუსთავის მერიასა და შალვა ამონაშვილის აკადემიას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ხორციელდება და რუსთავის ბაგა ბაღების თანამშრომლებისთვის ჰუმანური პედაგოგიკის მიმართულებით, სპეციალური ტრენინგ კურსების ჩატარებას ითვალისწინებს.

საბავშვო ბაღების თანამშრომ ლებისთვის, ბავშვთა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ტრენინგ კურსს, ქართული პედაგოგიკის ნოვატორი, აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი პირადად ხელმძღვანელობს.

„მართე შენი ქალაქის“ მეშვიდე ეტაპი დაიწყო

რუსთავის მერიამ, თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების ჩართვის მიზნით, პროგრამა „მართე შენი ქალაქის“ მეშვიდე ეტაპი დაიწყო.

ქალაქის მერი ნინო ლაცაბიძე პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს შეხვდა და „მართე შენი ქალაქის“ შესახებ დეტალურად ესაუბრა.

რუსთავის მერიის სამსახურების მუშაობის სპეციფიკას, მუნიციპალურ სერვისებსა და რეფორმებს, ერთი თვის განმავლობაში, კიდევ 21 სტუდენტი გაეცნობა.

პროგრამა - „მართე შენი ქალაქი“ მეორე წელია წარმატებით მიმდინარეობს და დღემდე მასში 115 სტუდენტი ჩაერთო, რომელთა შერჩევაც ონლაინ რეგისტრაციით მოხდა

რუსთავის მერია ანაზღაურებადი სტაჟირების შესახებ პრემიერ-მინისტრის ინიციატივას ეხმაურება და ახალგაზრდების დასაქმების ეკოპროექტს ახორციელებს

პროექტში - „ახალი სიმწვანე“, 18-დან 29 წლამდე ასაკის რუსთაველი ახალგაზრდები, ონლაინრეგისტრაციით ერთიანდებიან და ქალაქის გამწვანების სამსახურში, ერთი თვის განმავლობაში, შესაბამისი ანაზღაურებით იწყებენ მუშაობას.

პროექტის პირველი საპილოტე ეტაპი უკვე განხორციელდა. დასაქმებისა და ეკოლოგიური პროექტის მონაწილეთა ახალი ნაკადის პირველი სამუშაო დღე, რუსთავის სანერგე მეურნეობაში შედგა, სადაც ახალგაზრდებმა სპეციალური ვორქშოფიც გაიარეს და ქალაქის გამწვანების სამუშაოებისთვის ნერგების გადარჩევაშიც მიიღეს მონაწილეობა.

პროექტი - „ახალი სიმწვანე“, რუსთაველი ახალგაზრდების დასაქმების და ქალაქის ეკოსისტემის გაუმჯობესებაში მათი ჩართვის მიზნით ხორციელდება.

პროექტის მომდევნო ეტაპის მონაწილეთა რეგისტრაცია მაისში დაიწყება.

რუსთავის ბუნებრივი ჭალის ტყეში 60 კოლხური ხოხობი გაუშვეს

რუსთავში, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით და „განვითარება და გარემოს“ ჩართულობით, ეკოლოგიურ პროექტი ხორციელდება.

რუსთავის ბუნებრივი ჭალის ტყის ტერიტორიაზე და მე-19 მიკრორაიონში, 60 ერთეული კოლხური ხოხობი გაუშვეს. პროექტს ფონდი „ქართუ“ მესამე წელია რაც ახორციელებს.

რუსთავის ჭალის ტყის ტერიტორიაზეც კოლხური ხოხბის გაშვება უკვე მესამედ მოხდა. ფონდი „ქართუს“ საჩუქარი, რუსთავის ჭალის ტყეების ფაუნის აღსადგენი უნიკალური საშუალებაა, რადგან ფრინველის ამ სახეობისთვის, ეს ტერიტორია ენდემური ზონაა.

რუსთავის მუნიციპალურ დრამატულ თეატრში თეატრის მუზეუმი გაიხსნა

ღონისძიებას, რომელიც თეატრმცოდნეს და ტელეწამყვანს, ნიკოლოზ წულუკიძეს მიჰყავდა, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე კახა კობერიძე, მერის მოადგილე ოთარ ტატალაშვილი, ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, მსახიობები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

მუზეუმში, სხვადასხვა დროს, თეატრში დადგმული სპექტაკლების ფოტო-ვიდეო მასალები, აფიშები, პროგრამები, ესკიზები, მაკეტები და კოსტიუმებია წარმოდგენილი.

ახლადგახსნილ მუზეუმში, არაერთი პროექტის განხორციელება იგეგმება. თეატრის მუზეუმს საგანმანათლებლო ფუნქციაც ექნება.

რუსთავის თეატრში, პირველი პრემიერა 1967 წლის 30 ნოემბერს შედგა. ახალგაზრდა რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ მაყურებელს ედმონდ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ წარუდგინა, რომელშიც მთავარ როლებს ოთარ მეღვინეთუხუცესი, მალხაზ გორგილაძე, ქეთევან კიკნაძე გურანდა გაბუნია, თენგიზ მაისურაძე და ნოდარ მგალობლიშვილი ასრულებდნენ.

რუსთავში ქორეოგრაფიული კონკურს-ფესტივალი „ქართული“ ჩატარდა

კონკურს-ფესტივალის მიზანი, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია და ქორეოგრაფიული ანსამბლების ხელშეწყობაა. სპეციალურად „ქართულისთვის“ საფესტივალო სივრცე რუსთავის ცენტრალურ პარკშია მოწყობილი.

ფესტივალის საზეიმო გახსნას, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი და ალექსანდრე დალაქიშვილი დაესწრნენ.

ფესტივალი ამ ეტაპზე რეგიონულ ფორმატში ტარდება და მასში მონაწილეობას ქვემო ქართლში მოქმედი ანსამბლები იღებენ.

„ქართულის“ საკონკურსო ნაწილი, 25 აპრილს გალა კონცერტით დაიხურება, საფესტივალო დღეები, კი 27 აპრილამდე გაგრძელდება.

რუსთავი მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩასატარებლად ემზადება

სიმპოზიუმში მონაწილეობის სურვილი წელს ასამდე ხელოვანმა გამოთქვა საქართველოდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

სიმპოზიუმში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები სპეციალურმა კომისიამ განიხილა და საწყის ეტაპზე ის 16 ნამუშევარი შეარჩია, რომელსაც მოქანდაკეები ადგილზე შექმნიან.

რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, 8 ივნისს, რუსთავის ცენტრალურ პარკში გაიხსნება.

რუსთავის მერიამ კამპანია „თაობა მომავლისთვის“ ფარგლებში, რეგიონული ახალგაზრდული ქსელი შექმნა

ნინო ლაცაბიძე: - ახალგაზრდებთან ვისაუბრეთ არსებულ გამოწვევებზე და იმ იდეებზე, რომელიც ჩვენი ქალაქების და ქვეყნის განვითარებისთვის ყველამ ერთად უნდა განვახორციელოთ

რუსთავის მერიამ კამპანია „თაობა მომავლისთვის“ ფარგლებში, რეგიონული ახალგაზრდული ქსელი შექმნა. პროექტი, რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის კონტაქტების დამყარებას, მუნიციპალიტეტებში დანერგილი სიახლეებისა და მიმდინარე პროექტების გაცნობას ისახავს მიზნად.

პროექტის პირველ ეტაპზე, რუსთავის მერიის ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა, ქვემო ქართლის 6 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თანატოლებს უმასპინძლა.

გზა პატარა კომპანიიდან დიდ ბიზნესამდე

ლევან თაბაგარი ახალგაზრდა, 38 წლის რუსთაველი ბიზნესმენია, რომელმაც საქმიანობა მცირე ბიზნესით დაიწყო და დღეს უკვე წარმატებულია საქმიანობის ყველა სფეროში. და თუ რა არის მისი პრიორიტეტები, როგორ მიაღწია წარმატებას, ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.

— თქვენ ერთ-ერთ წარმატებულ ახალგაზრდა ბიზნესმენად ითვლებით, რადგან შექმენით და წარმატებით უძღვებით არჩეულ საქმეს, დაწყებული ტაქსების კომპანიიდან, ავტომომსახურების სერვისით დამთავრებული. გვითხარით როგორ დაიწყეთ და განავითარეთ საკუთარი ბიზნესი?

— ტაქსების თემა ძალიან ადრეული ასაკიდან დავიწყეთ, რამდენიმე წელი ვიყავი ამ სტრუქტურაში. ახლა უკვე აღარ არის ჩვენი და ამის შესახებ მეტ ინფორმაციას ვეღარ მოგაწვდით. ტაქსებიდან შემდეგ უკვე ავტომომსახურების სფეროზე გადავერთეთ, ასევე ავტონაწილების გაყიდვაზე. დავიწყეთ 2017 წელს, ჯერ პატარა მაღაზია ავაშენეთ და იქვე ავტომობილების სერვის-ცენტრი „ნიუ მოტორსი“, რომელსაც წელიწადნახევარი ვაშენებდით.

— ესე იგი, დაიწყეთ მცირე ბიზნესით, შემდეგ როგორ განავითარეთ თქვენი საქმიანობა?

— დიახ, მცირედით დავიწყეთ, გავიარეთ საკმაოდ რთული გზა, ძალიან დიდი შრომა ჩავდეთ და მოვედით ასე დღემდე.

— ბატონო ლევან, თქვენ საუბრობთ მრავლობითში და არა მხოლოდ საკუთარ თავზე, ვინმე გეხმარებოდათ თუ როგორ წამოიწყეთ საქმიანობა, ვინ გედგათ გვერდში, რადგან დაწყება რთული საქმეა...

— დიახ, დამეხმარა ჩემი ძმა, ეს ჩვენი ოჯახური ბიზნესია, ჩვენ ერთად, მუხლჩაუხრელი შრომით შევქმენით ყველაფერი.

— როგორც ვიცი, გაქვთ წამოწყებული ახალი პროექტი - საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა... გვიამბეთ უფრო დეტალურად?

— დაახლოებით 3 წლის წინ დავიწყეთ საცხოვრებელი კორპუსის პროექტის შეთანხმება. მე-20 მიკრორაიონში შევისყიდეთ მიწა და მეორე წელია ვაშენებთ საცხოვრებელ კორპუსს. მშენებლობა თითქმის დავასრულეთ. სახლი 12 სართულიანი და ორი სადარბაზოსგან შედგება.

— კერძო ბიზნესი საჭირო, მაგრამ რთული საქმეა, მას ცოდნასთან ერთად გამოცდილებაც ჭირდება. პროფესიით ვინ ბრძანდებით და თუ გამოგადგათ საქმიანობაში?

— პროფესიით სამართალმცოდნე ვარ. ეს ისეთი საქმეა, რომ პირდაპირი შეხება გაქვს კანონებთან და დიდი წვლილიც შეიტანა ჩემმა ცოდნამ. როცა რაღაცას იწყებ, თავიდან ყველა სფერო ძალიან რთულია და შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვები და ვითარდები. ჩემს შემთხვევაში გამოვყოფ ორ სფეროს — ერთი ეს არის ავტონაწილების გაყიდვის, ანუ მაღაზიის ინდუსტრია და მეორე ავტომობილების შეკეთების სერვისი.

ჩვენთან თითქმის ყველანაირი სერვისია, პატარა ავტომანქანების კუთხით, თუმცა მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ადამიანი მარტო ამას ვერ შეძლებს. მე რუსთავში დაბადებული და გაზრდილი ვარ. მოგეხსენებათ, რუსთავი პატარა და მეგობრული ქალაქია და მეც ყოველთვის მქონდა სხვების მხარდაჭერა. ამჟამად ძირითადად სულ მშენებლობაში ვართ და გამიმართლა, რომ თავიდანვე სწორი კადრები შევარჩიეთ.

— რას იტყვით გუნდური მუშაობის შესახებ, ვგულისხმობ პარტნიორულ ურთიერთობას.

— ბიზნესში გუნდური მუშაობა მთავარია, თუ არ შეგიძლია გუნდთან მუშაობა, ისე ვერაფერს გააკეთებ.

— ვინ არიან თქვენს გუნდში, ახლობლები თუ მოწვეული კადრები?

— ორივე — მეგობრებიც, ნაცნობებიც და ასევე სპეციალურად შერჩეული რუსთაველი პროფესიონალი კადრები.

— საქმიანი ადამიანი მეტწილად მოწყვეტილია ოჯახს, ნათესავებს... გრჩებათ დრო ოჯახისთვის, ახლობელი ადანიანებისათვის?

— სამწუხაროდ, დამღლელი დღის ბოლოს მათთვის დრო მართლაც ძალიან ნაკლებად მრჩება.

— მოუსვენარი და მიზანმიმართული კაცი ბრძანდებით და ცხადია სამომავლო გეგმებიც კიდევ ბლომად გექნებათ...

— გეგმებს მიზანდასახულად მივყვებით, განსაკუთრებით ავტონაწილების სფეროში. ახალს არ ვიტყვი, რომ ყოველწლიურად ვითარდება ავტომრეწველობა და შემოდის ახალი ავტომობილები და მათი მოდელები. ჩვენც ვალდებულები ვართ ფეხი ავუწყოთ ახალ მოთხოვნებს და ინტენსიურად ვმარაგდებით ახალი ავტონაწილები.

— როგორ შეაფასებთ რუსთავის შესაძლებლობებს ბიზნესის კუთხით, ღირს აქ ინვესტიციების ჩადება?

— ადრე ჩვენს ქალაქში ბევრი ერიდებოდა დიდი თანხების ჩადებას და ბიზნესის წამოწყებას, პატარა ქალაქია და ამიტომ ასე ფიქრობდა ბევრი, რაც ძალიან ცუდად მხვდებოდა გულზე. ის მოსაზრებაც, რომ თბილისი ახლოს არის და რუსთავში არ ღირს არაფრის წამოწყება, ესეც მწყინდა, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი და მჯეროდა, რომ ნებისმიერი ინდუსტრია აქაც წარმატებით შეძლებდა არამხოლოდ არსებობას. ჩვენმა პრაქტიკამაც სწორედ ეს აჩვენა და ეს მახარებს.

ბოლო დროს საკმაოდ გალამაზდა რუსთავი და ამ პატარა ქალაქში უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომია მრავალი სერვისი. დედაქალაქს სულ რამდენიმე კილომტრი გვაშორებს და სხვანაირად არც უნდა იყოს.

— როგორც ამბობთ, ამ ქალაქში გაიზარდეთ და კარგად გახსოვთ მისი წარსული, დღევანდელობაზე რას იტყვით და როგორ გესახებათ ის სამომავლოდ?

— ჩვენი ქალაქი იერ-სახით მალე ერთ-ერთი ლამაზი და გამორჩეული იქნება. ჯერ ყველა სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოები არ დასრულებულა და ხედავთ თუ რა ხიბლი შეიძინა. არც წარმოების მხრივ ვართ ჩამორჩენილი - მრავალი დიდი თუ მცირე საწარმო ემსახურება არამარტო ქალაქს, არამედ მთელ ქვეყანას და მის გარეთაც. ასე, რომ ქალაქის ხვალიდელი დღეა უფრო მომხიბვლელი და საამაყო იქნება. მისათვის ყველა წინაპირობა არსებობს.

— როგორც წესი, ბიზნესი ქველმოქმედებაზე და თანადგომაზეა ორიენტირებული, იმედია, არც თქვენი კომპანიაა გამონაკლისი.

— ამ თემაზე საერთოდ არ ვსაუბრობ ხოლმე, მარტო იმას გეტყვით, რომ ჩემს ოჯახს და მეუღლეს ყავს თავისი ბენეფიციარები, რომლებსაც საახალწლოდ და სააღდგომოდ მუდმივად უწევენ შესაბამის საჭირო დახმარებას.

— რას ურჩევდით დამწყებ მეწარმეებს?

— მთავარია, პირველ რიგში დაისახონ მიზანი. თავისთავად ეს მიზანი რეალური უნდა იყოს, რომლის მიწევასაც შემდგომ ძალიან დიდი შრომა სჭირდება.

თავიდან ბიზნესს რომ იწყებ, ის პატარაა და შვილივით უნდა გაზარდო, რომელიც შემდგომში მოგცემს შემოსავალს. მე ნულიდან დავიწყე, ბანკებთან თანამშრომლობით ისე გადავანაწილე სახსრები, რომ შევძელი არსებულიც გამემტკიცებია და პარალელური სერვისიც შემექმნა. ბიზნესს არ უყვარს სულსწრაფობა, მას მოყვება როგორც აღმართი, ასევე დაღმართი და ყველაფრისათვს მზად უნდა ვიყოთ.

— ბიზნესს ჩავარდნებიც ახასიათებს. ჰქონდათ პრობლემები?

— ბიზნესი პროგნოზირებადი საქმიანობაა, თუმცა დაზღვეული არავინ და არაფრით არაა. ცუდად მახსენდება კორონას პერიოდი, როდესაც დაიკეტა მომსახურების ყველა სერვისები. ჩვენც დავკეტეთ მაღაზია, უმუშევრები დარჩნენ ჩემი თანამშრომლები, თუმცა ბედათ ავტოსერვისით მომსახურებამ გაგვაზლებინა ასე ნელ-ნელა ისევ დავბრუნდით ჩვენს რეჟიმში, ამიტომ ბიზნესში ყველაფერს ვერ გათვლი და ამგვარი რისკები სწორი არც თუ იშვიათია.

— რამე სიახლეს ხომ არ გეგმავთ?

— უკვე დავგეგმეთ და ავამოქმედეთ კიდეც. ახალი საქმიანობა რომელსაც ჩემი მეუღლე თამარ აფციაური უძღვება არის გარე ანუ ღია აუზი „ნიუ სფეისი“, როგორც გასაქირავებელი სივრცე წვეულებისთვის, დასვენებისათვის, უიკენდებისათვის.აქ თქვენს განკარგულებაშია პატარა კაფეები, დასასვენებელი და გასარუჯი სივრცეები. აუზი „ნიუ სფეისი“ მდებარეობს მე-18 მიკრორაიონში, ახალი სპორტის სასახლის მიმდებარედ და სტუმრებს მოემსახურება ყოველდღე 10-დან 18-მდე. ისე, მგონი გაგიგონიათ - მოყოლილს ნანახი სჯობიაო და ამიტომ საუბარს მეტს აღარ გავაგრძელებ

ესაუბრა
თიკა ფალაშვილი

სოციალური პროგრამები, რომლებსაც რუსთავის მერია მიმდინარე წელს ახორციელებს

ბავშვთა დახმარების პროგრამა

პროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 100 001-მდე. პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ხელოვნური კვების დაფინანსებას 100 ლარის ოდენობით, ყოველთვიურად, 1 წლის ასაკამდე.

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 100 001-მდე. პროგრამა ითვალისწინებს 1 წლამდე ბავშვთა ჰიგიენური ნივთების და სხვა პირველადი მოვლის საშუალებების შესაძენად საჭირო თანხის დაფინანსებას ერთჯერადად 400 ლარის ოდენობით.

HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების (პერცეპტინი) დაფინანსების პროგრამა

ქვეპროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ფორმის ან HER-2 რეცეპტორ-დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე, ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისთვის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;

ბ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი რუსთავი.

1.ქვეპროგრამით მოსარგებლეს მოთხოვნილი მედიკამენტის ღირებულება უფინანსდება ,,რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ თანადაფინანსების პრინციპით:

ა) HER-2 რეცეპტორ დადებითი ძუძუს ადრეული კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – პრეპარატი ტრასტუზუმაბი (ჰერცეპტინი) ერთწლიანი კურსის მოცულობით (არაუმეტეს 18 ინფუზია) დაფინანსებისას დარჩენილი თანხიდან ყოველ ჯერზე არაუმეტეს 400.00 ლარის ოდენობით, ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ბ) HER-2 რეცეპტორ-დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში, ტრასტუზუმაბი+პერტუზუმაბი/ფესგოსა (არაუმეტეს 8 ინფუზია)და ტრასტუზუმაბის (ჰერცეპტინი) ერთწლიანი კურსის მოცულობით (არაუმეტეს 18 ინფუზია) დაფინანსებისას დარჩენილი თანხიდან ყოველ ჯერზე არაუმეტეს 700.00 ლარის ოდენობით, ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლისს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000, მედიკამენტი დაუფინანსდება თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 1000 ლარისა.

გ) HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ლაპატინიბის (ტაივერბი) დაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთწლიანი კურსით, თითოეულ ჯერზე არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა.

2. რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ბენეფიციარს უფინანსდება წლის მანძილზე არაუმეტეს 18 ინფუზია ყოველ ჯერზე არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. გამონაკლისს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000, მედიკამენტი დაუფინანსდება თითოეულ შემთხვევაში არაუმეტეს 1500 ლარისა.

ქვეპროგრამით სარგებლობის მოთხოვნის ყველა მომდევნო ჯერზე მოსარგებლემ მუნიციპალიტეტს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს განახლებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა №IV-100/ა, კალკულაცია შესაბამისი დაწესებულებიდან/აფთიაქიდან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაცემული დაფინანსების თანხმობის წერილი (არსებობის შემთხვევაში).“

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია ყოველი სამი კურსის შემდგომ დამატებით წარმოადგინოს კონსილიუმის დასკვნა (რომელიც დამოწმებულია შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმის, მ.შ. ფორმა №IV-100/ა-ს გამცემი ექიმის ხელმოწერითა და ბეჭდით) ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საკურორტო მომსახურება

პროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 3-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

პროგრამა მოიცავს საქართველოს კურორტებზე მომსახურების ხარჯების დაფინანსებას 600 ლარის ოდენობით, ხოლო 800 ლარით დაფინანსდება შშმ ბავშვი, რომლის ოჯახიც:

ა) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს;

ბ) მარტოხელა მშობლის შშმ ბავშვი;

გ) ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული შშმ ბავშვი;

დ) შშმ მშობლის შშმ ბავშვი;

ე) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი შშმ ბავშვი;

გ) მარჩენალდაკარგული შშმ ბავშვი.

შინ მოვლის თანადაფინანსების პროგრამა

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქეები (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-სს), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვანი პირები და მარტოხელა სტატუსის მქონე პირები, რომლებიც ცხოვრობენ და რეგისტრირებულნი/მუდმივი ბინადრობის მქონე არიან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, განცხადებით მომართვამდე უწყვეტად, არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, გამონაკლისს წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ-ქალაქი რუსთავი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარის საექიმო და საექთნო მომსახურებას, პერსონალურ მოვლას და საყოფაცხოვრებო დახმარებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაფინანსდება არაუმეტეს 100 ბენეფიციარი.

ბართელის ინდექსის მიხედვით, მომსახურება ფინანსდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 660 ლარი;

ბ) II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 540 ლარი:

გ) III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 360 ლარი.

სტუდენტთა სწავლის დაფინანსების პროგრამა

ქვეპროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის საფეხურის სტუდენტები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად.

გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება – ქალაქი რუსთავი. (ვრცელდება სამივე საფეხურის სტუდენტზე).

პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა შესაძლოა მიეცეს ბაკალავრის საფეხურის სტუდენტს, თუ იგი ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგენს დოკუმენტს (სკოლის ატესტატს ან ცნობას შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან), რომლითაც დადასტურდება, რომ სკოლის დამამთავრებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ბაკალავრის დაფინანსება:

- 81 დან 90 ქულამდე შეფასების მქონეს არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით;
- 90 დან 95 მდე ქულის მქონე სტდენტებს არაუმეტეს 1000 ლარით;

(გაგრძელება მე-6)

სოციალური პროგრამები, რომლებსაც რუსთავის მერია მიმდინარე წელს ახორციელებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე)

- 95 დან 100 ქულის ჩათვლით 1200 ლარით;

სტუდენტს უფინანსდება სწავლის გადასახადი, წელიწადში არაუმეტეს სტუდენტებისთვის განსაზღვრული დასაფინანსებელი თანხის ოდენობისა. პროგრამა ითვალისწინებს სწავლის დაფინანსებას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 1200 ლარის ოდენობით. თანხის ასათვისებლად ყოველი შემდეგი მომართვისას, კი სემესტრის საშუალო აკადემიური ქულა საჭიროა იყოს გაუმჯობესებული, რათა იძლეოდეს დამატებითი თანხის ათვისების შესაძლებლობას ლიმიტის ფარგლებში.

მაგისტრის და დოქტორის დაფინანსება:

85 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით შეფასების მქონე არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (ერთი კალენდარული წლის განმავლობაში);

სტუდენტთა სოციალური დახმარება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე ბაკალავრის საფეხურის სტუდენტების მგზავრობის საფასურის დაფინანსებას თვეში არაუმეტეს 60 ლარის ოდენობით, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად.

კატეგორიები:

- სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირი, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს;

- სტუდენტი სწავლობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ უფასო ფაკულტეტზე და მისი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია;

- სტუდენტს აქვს 100%-იანი გრანტი და მისი აკადემიური შეფასების საშუალო ქულა 81 და მეტია;

- შშმპ სტატუსის მქონე სტუდენტი;

გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება – ქალაქი რუსთავი.

პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა შესაძლოა მიეცეს ბაკალავრის საფეხურის სტუდენტს, თუ იგი ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგენს დოკუმენტს (სკოლის ატესტატს ან ცნობას შესაბამისი სასწავლო დაწესებულებიდან), რომლითაც დადასტურდება, რომ სკოლის დამამთავრებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდა რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროსა და ვრცხლის მედალზე კურსდამთავრებულთა წახალისების პროგრამა

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი კურსდამთავრებული მოსწავლეები.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებული მოსწავლეების 500 (ხუთასი), ხოლო ვერცხლის მედალოსანი კურსდამთავრებული მოსწავლეების 300(სამასი) ლარის ოდენობით წახალისებას.

გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირზე, რომელსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდება – ქალაქი რუსთავი.

პროგრამით მოსარგებლეები არიან როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეები.

პროგრამა „პროფესიული სწავლება დასაქმების ხელშეწყობისთვის“

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი/მუდმივი ბინადრობის მქონე და მცხოვრები 18 წლის ასაკიდან პირები, რომლებიც ქალაქში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.

ქვეპროგრამის მიზანია, რუსთავში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე, 18 წლის ასაკიდან პირებისთვის, პროფესიული პროგრამების შესწავლის წახალისება და შემდგომში დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული პროგრამების დანერგვის და პოპულარიზაციის მხარდაჭერა.

დაფინანსება მოიცავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული პროფესიული პროგრამების სტუდენტთათვის ყოველთვიურად 100 ლარით წახალისებას პროფესიული პროგრამის დასრულებამდე.

ქვეპროგრამის ფარგლებში თითოეულ ბენეფიციარს უფინანსდება მხოლოდ ერთი პროფესიული პროგრამის სწავლება.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა არის ძალადობის მსხვერპლი ფიზიკური პირების გაძლიერების ღონისძიება, რომლის მიზანია ძალადობის მსხვერპლთა ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა სოციალიზაციის პროცესში.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი ფიზიკური პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) პირი რომელიც შესაბამისი ორგანოს/სამსახურის მიერ ცნობილი იქნა დაზარალებულად და ამასთანავე, ფლობს სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ჩადენილი დანაშაული;

ბ) მსხვერპლი, რომელიც ფლობს თავშესაფარში ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს (ხელშეკრულება და სხვა);

გ) ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე პირი, რომელსაც განცხადებით მომართვისას, ასევე მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის ან/და ძალადობის ფაქტის დადგომის მომენტში უფიქსირდება აქტიური რეგისტრაცია.

გამონაკლისს წარმოადგენს:

ა) მსხვერპლი, რომელმაც თავშესაფარი დატოვა განცხადებით მომართვამდე არაუგვიანეს 6 თვისა;

ბ) პირი რომელსაც აქვს დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ და სასამართლოს ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება მსხვერპლის მიმართ ჩადენილი დანაშაული, მოძალადე ცნობილი იქნა დამნაშავედ და გადაწყვეტილების გამოტანიდან არ არის გასული 6 (ექვსი) თვე.

დაფინანსება გაიცემა ძალადობის მსხვერპლ პირზე ერთჯერადად, წელიწადში 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირებს წარმოადგენენ ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულნი/მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და ესაჭიროებათ ავთვისებიანი სიმსივნეების(დაავადებების კოდი ჩ00-ჩ97 D00-D09) დიაგნოსტიკა და ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კარდიოქირურგიული და გეგმიური ქირურგიული სამედიცინო მომსახურება, კომპიუტერული გამოკვლევები 0-70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე:

ავასტინის ინტრავიტრეალური ინექცია -ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში არაუმეტეს 900 ლარის ოდენობით;

G40 დიაგნოზის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარების ელექტროენცეფალოგრაფიის (ეეგ კვლევა) დაფინანსება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო ბენეფიციარებისთვის, რომლებიც ირიცხებიან სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 150000 ქულის ჩათვლით, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობით.

საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, გამონაკლისს წარმოადგენენ დევნილები, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

DENS
DENS
სტომატოლოგიური კლინიკების ქსელი
გილოცავთ აღდგომის
ბრწყინვალე დღესასწაულს
WWW.DENS.GE
რუსთავი, კოსტავას N11
ტელ:(032) 2 599 599
რუსთავი, შარტავას N17
ტელ:(032) 2 599 599
თბილისი, ყიფშიძის N2ბ
ტელ:(032) 2 599 599
თბილისი, ფანჯიკიძის N22
ტელ:(032) 2 599 599

„კამა“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!
ირჩევთ „კამას“ — ირჩევთ საუკეთესოს!
შეამოწმებ ულია
ნაღდია!
40 დასახელების
საუკეთესო ნაწარმი
მოიკითხეთ „კამას“ საფირმო მაღაზიებში

საბავშვო პოეტის ახალი წიგნი

რუსთაველმა შემოქმედმა, საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა ლია ბეჟანიშვილმა კიდევ ერთხელ გაახარა ქართველი მოზარდების გული, და არა მხოლოდ ქართველი, ახალი საბავშვო პოეტური კრებულის „ჯადოსნური სამყაროს“ გამოცემით. ეს ახალი წიგნი მშვენიერია შემდეგი მახასიათებლებით; საინტერესო თემატური მხატვრობით, მაღალხარისხოვან ქაღალდზე ნაბეჭდით და ყველაზე მთავარი, წიგნი

– ორენოვანია, საბავშვო ლექსები თარგმნილია აზერბაიჯანულ ენაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ლია ბეჟანიშვილმა როგორც შემოქმედმა, მიაგნო სიახლეს და თავის წილგადაწყვიტა კიდეც პრაქტიკულად ჩვენი დროის და კერძოდ, ჩვენი ქალაქის, მთლად საქართველოს მოსახლეობისათვის ერთი პრობლემა, პოეზიამ და წიგნმა უნდა დააახლოვოს და ერთურთის სიყვარული ასწავლოს საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ერებსაც და მცირე ეთნოსებსაც. ამ შემთხვევაში ქართული საბავშვო ლექსების თარგმანი აზერბაიჯანულად ბევრ რამეს ნიშნავს აზერბაიჯანელი ბავშვებისა და მშობლებისათვის.

საბავშვო პოეტი უკვე ცნობილი და აღიარებულია ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის. ეს მისი მესამე პოეტური კრებულია პირველი ორის შემდეგ – „ყველას მოვეფერები“ და „ცხრათვალა მზე დაგვნათის“, რომლებიც წლების წინ გამოვიდა და მალევე გახდა თვით პატარების საკუთრება.

სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში პოეტის სტუმრობისას პატარები ზეპირად ამბობენ ლექსებს უშეცდომოდ და ლაზათიანად. ზოგადად, საბავშვო ლექსი, თუკი ის ღირებულია, თავად ატარებს ერთ მახასიათებელს, იგი ადვილად ამახსოვრდება ბავშვს, ადვილადაც სწავლობს, იქნებ ერთი წაკითხვითაც კი.

და არც თუ შემთხვევით ხდება, რომ პოეტს ხშიად, ძალიან ხშირად იწვევენ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში, რათა პატარებმა საკუთარი თვალით ნახონ ჭეშმარიტი შემოქმედი, მოუსმინონ მის წაკითხულს და თავადაც მოაწონონ თავი კარგი დეკლამაციით.

ისე რომ, საბავშვო პოეტის ყოველდღიური ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები, ბავშვებთან შეხვედრები, მუდმივი გამოწვევის საბაბია, რათა პოეტმა შემეცნებითი აზროვნებით და თანდაყოლილი ნიჭიერებით გამუდმებით წეროს ბავშვებისათვის.

პატარების უამრავი რაოდენობის მასაში არიან და მუდმივად უჩენენ ინსპირაციას წერისათვის საკუთარი შვილიშვილები, ხუთი წლის ელენე და სამი წლის დემეტრე. მათზე უზომოდ შეყვარებული და მზუნველი ბებია სწორედაც რომ ბებიაობამ აქცია უფრო პროდუქტიულ შემოქმედად და ეს მის ნიჭიერებას მიყურადებული კოლგებისათვის, ცხადზე ცხადია.

ახლა, მოკლედ, წიგნზე. ამ ლექსების თარგმნით დაინტერესდა აზერბაიჯანელი მთარგმნელი რაფიკ გუმბათი. მოლოდინიც გამართლდა, აზერბაიჯანელმა მკითხველმა დიდი სიხარულით მიიღო წიგნი. ამ გამოცემის პრეზენტაცია აზერბაიჯანულ სკოლებშიც გაიმართება.

ლექსები ბავშვებზე, მათს ურთიერთობაზე ცხოველებთან, ფრინველებთან, მთელ სამყაროსთან. მოზარდის ყმაწვილური და გონივრული შთაგონებებით, სამყაროს შეცნობის სურვილებით, გონიერი აღმოჩენებით, სიკეთის ძიების სურვილით მართლაც საინტერესოდ იკინძება სალექსო სტრიქონებად და უფროსი ასაკის მკითხველებშიც დიდ მოწონებას იმსახურებს.

ყოჩაღი ანდრია

ეს რა ბიჭი ყოფილა,
თმაქოჩორა ანდრია,
ბებოს დაძახებაზე
წამოხტება ადრიან.
ცივ წყალს მიუცუნცულებს,
დააპურებს ყვინჩილებს,
სადაც გინდა გაგზავნი,
ერთსაც არ დაიჩივლებს.

ისე რომ, წაიკითხეთ ეს წიგნი და თავად დარწმუნდებით პოეტის ნიჭიერებაში.

ლია მარტაშვილი

„ლოცვა წინაპართათვის“

ქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელის თეა ჟვანიასა და რუსთაველებისათვის კარგად ცნობილი, მრავალმხრივი ნიჭიერებით გამორჩეული ქალბატონის თამარ ლომიძის ინიციატივით ორი დღის წინ მედიათეკის ერთ-ერთ სააქტო დარბაზში ფრიად საინტერესო შეხვედრა მოეწყო ცნობილ ქართველ პუბლიცისტთან და მწერალთან, ნანა ქარდავასთან, ღონისძიების თემა – სახელოვანი და ცნობილი ქართველი აფხაზები, რომელთაც დაუვიწყარი ბიოგრაფიები დაუწერეს ქართველებს და აფხაზებს ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ანალიზით.



ცოტა რამ ნანა ქარდავაზე: ეს ქალბატონი ქირთბაიათა შთამომავალია, ამ გვარის მიღმა კი აფხაზეთის ბოლო ორი საუკუნის ისტორიაა. მისი წინაპრის წინაპარი, ბაბუის ბაბუის ბაბუა ლიხნში, დღესაც არსებულ საფლავზე ასვენია, რომლის ეპიტაფია 1864 წლით თარიღდება.

ტაგუ ქირთბაია დიდი კაცი იყო და აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. მიხეილ შერვაშიძე მას ძმაზე მეტადაც ენდობოდა. მთავარი მიხეილი რუსებმა რომ გაასახლეს და აფხაზებმა ამის გამო სოფელ ლიხნში აჯანყება რომ მოაწყვეს, მაშინ დაღუპილა ტაგუ ბაბუა, 40 წლისა, ამ პერიოდშივე ლიხნში რუსი გენერალი კონიარი რომ მოკლეს, ამ საქმეში სწორედ ტაგუ ქირთბაიას ხელიც ერია. რუსის გენერალს სწორედ მისი მოქნეული ხმალი მოხვდა და სრულიად სამართლიანადაც. რუს გენერალს ჭირის დღესავით სძულდა თურმე აფხაზები, მიხეილსა და მისი ვაჟის შერვაშიძეთა განადგურებაც ამიტომ ეწადა...

სანამ ნანა ქარდავას უმშვენიერეს ისტორიულ წიგნზე ვიტყოდეთ ორიოდე სიტყვას, ჯერ ისევ ღონისძიების შესახებ...

ფრიად საინტერესო ლექციამ, ფოტომასალით გაჯერებულმა, შერვაშიძეთა გვარის ისტორიასა და მათს ღვაწლზე ქართველი ერის წინაშე, ორ საათზე მეტ ხანს გასტანა. საოცრად მაღალ აკადემიურ დონეზე მომზადებულმა ქალბატონმა, ღრმა ინტელექტუალიზმითა და აუდიტორიასთან ურთიერთობის მაღალი კულტურით, მწყობრი ლოგიკური აზროვნებითა და მეტყველებით, ნამდვილად დაინტერესა ყველა კატგორიის სტუმარი. პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს, ქართული და აფხაზური ისტორიის გაცნობას, კარგა ხანია ატარებს ქალბატონი ნანა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. ამჯერად რუსთავში ჩატარებულმა ამ ღონისძიებამ მართლაც უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია და გადაწყდა, რომ ლექციები ამ თემაზე საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც ჩატარდეს.

წიგნი „ლოცვა წინაპართათვის“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა, მისი რედაქტორი მაია მიქაიაა, რომლის წინასიტყვაობის ერთ ნაწილში წერია: „ეს წიგნი აუცილებლად უნდა დაწერილიყო, რადგან ის, შეიძლება ითქვას, ხარკია, მადლიერებაა იმისათვის, რა სულიერი მემკვიდრეობაც დაუტოვეს ავტორს მისმა წინაპრებმა, ხოლო მკითხველისათვის ნამდვილი საჩუქარია, შეხსენებაა იმისა, რომ ყველანი საკუთარი გვარისა და ოჯახის გამგრძელებლები ვართ, და რომ ყოველთვის, როცა ტაძრად მისულნი, ჩვენი შვილების მომავალზე ვლოცულობთ, ასევე აუცილებლად უნდა აღვავლინოთ ლოცვა წინაპართათვის.

საოცრად ლამაზად გაფორმებული ყდის დიზაინის და დაკაბადონების ავტორი ვახტანგ ზაქარაიაა.

წიგნში მოთხრობილ დრამატულ ეპიზოდებს უცრემლოდ ვერ წაიკითხავს მკითხველი. ავტორი ყოველ ფაქტსა და მოვლენას, თავისი სულიერების ქურაში გამოტარებულს დიდი ემოციით აწვდის მკითხველს და ხატოვანი შინაარსიანი თხრობით საინტერესოდ წასაკითხ წიგნს სთავაზობს ქართველ მკითხველს.

წიგნი ერთდროულად საუკუნეებს გამოვლილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, საერთო წინაპრების, საერთო მიწა-წყლის დღევანდელ პრობლემებზე ახალ საფიქრალს გვიჩენს.

მაშ ასე, ახალი წიგნი ნანა ქარდავას ავტორობით „ლოცვა წინაპართათვის“, მკითხველთა შეფასებას ელის.

ლია მარტაშვილი

რუსთავის პენსიონერთა კავშირი საზოგადოების ოპტიმისტური სახეა

ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობაა. მსოფლმხედველობრივად ორად გაყოფილმა ადამიანებმა მომავალი თაობების ჩარევითაც კი, ვერა და ვერ მოაგვარეს პრობლემა, ვერ მოახერხეს თანხმობის მიღწევა. არადა, მიზეზი, თვით ჩვენს ერში კი არა, გარედან მიზანმიმართულ აჩემებულ მტერშია, რომელთაც, რადაც არ უნდა დაუჯდეთ სურთ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ ამიერკავკასია და ლამის მთელი მსოფლიო.

გლობალიზაცია პატარა ერებსა და ქვეყნებს უკვე დაუფარვად უქმნის სერიოზულ საფრთხეს და ის, თუ ვინ ქართველებს ამ მძიმე პერიოდში სამშობლოს გადარჩენის ინტერესებისათვის, უდიდესი მნიშვნელობის თემაცაა და მიზანიც.

რუსთავის პენსიონერთა კავშირში, სადაც ასაკმოძალებულნი თუ უხუცესი ადამიანები ხშირად იკრიბებიან, სურთ თუ არა სურთ, პოლიტიკაზე საუბარსაც ვერ უვლიან გვერდს და აშკარად გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიმართ, რათა რამენაირად შენარჩუნდეს მშვიდობა ქვეყნის ფიზიკური გადარჩენისათვის თუ სახელმწიფოებრიობის დაცვის მიზნით.

ღონისძიება პენსიონერთა იუბილეებისათვის უკვე ტრადიციად დამკვიდრდა სამ თვეში ერთხელ იმართება და ამჯერადაც თებერვალში, მარტსა და აპრილში დაბადებულთა საიუბილეო დღეები

აღინიშნა საგანგებოდ მომზადებული წვეულებითა და საზეიმო ტორტით.

ამჯერად იუბლართა შორის იყო პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი გოგი ბეგაძე, რომელიც 80 წლის გახდა და გულწრფელი მილოცვებიც, ლექსებითა და სიმღერებით, თუ ფრიად ემოციურად წარმოთქმული საღღეგრძელოებით მიიღო. ქართული, ტრადიციული ბუნებით გამორჩეული ჩვენი თანამოქალაქე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი თავისი შრომითი ბიოგრაფია და ბოლო წლებში ამ საზოგადოების უნარიანი გაძღოლით თავის სათქმელს უშეცდომოდ ავლენს, მას შესანიშნავ ოჯახთან ერთად, ჰყავს უამრავი მეგობარი თუ ძმადნაფიცი, დაქალი თუ ყოფილი თანამშრომელი, ახალგაზრდა თუ ხნიერი ადამიანები, ვისთანაც მუდმივად ამჟღავნებს თავის სითბოს, სიკეთის ნიჭს და გაჭირვებასას მათ გვერდით დგომის სურვილს.

პენსიონერთა კავშირში ბატონ გოგის გვერდით ყავს შემოკრებილი სერიოზული ქალბატონები – ალმარი ლომიძე და დონარი ადეიშვილი, ლალი ყრუაშვილი და ზოია მაისაშვილი, უამრავი სხვაც, რომლებიც ბატონ გოგის მსგავსად კონკრეტულ სიტუაციაში ყველაფერს აკეთებენ პენსიონერთა ხელშეწყობისათვის, მათთვის რჩევების მიცემისათვის და რიგ შემთხვევაში სიბერითა თუ სხვა დარდუბალით შეწუხებულებს ნუგეშს აძლევენ, ამხნევებენ, სიცოცხლეს ულამაზებენ.

ასე იყო ამჯერადაც იუბილარებმა ციური ბერიძემ, ომარ არობელიძემ, მარლენ კვირიკაძემ, მერი მაისურაძემ, ქეთევან იაშვილმა, ალქსანდრე თოდუამ, ამირან ჭანტურიამ, ავთო ჩიტაძემ – ბევრი საგულისხმო მოისმინეს, ერთმანეთსაც გადაუხსნეს გული და პოზიტიური განწყობით აღსავსეებმა ერთხმად გამოთქვეს მადლობა ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელთა მიმართ, რომელთაც, რაგვარადაც შეუძლიათ ყურადღებას არ აკლებენ ამ საზოგადოებას, რომ იარსებოს.

როგორც ქალბატონებმა ა. ლომიძემ და დ. ადეიშვილმა გვითხრეს, ბატონ გოგის ხელმძღვანელობით ახლა უამრავი რამ იგეგმება პენსიონერთა კავშირში ღონისძიებების სახით, კერძოდ შეხვედრა მედიცინის მუშაკებთან, უხუცეს პენსიონერებთან, მეცნიერ ლიტერატორთან ციური ბერიძესთან, ჭადრაკის წრის გასახსნელად, ექსკურსიის მოწყობა და სხვა.

მოკლედ, რუსთავში, როგორც ყოველთვის, სიმშვიდეა. ეს ქალაქი კვლავაც რჩება სტაბილურობისა და სიკეთის ქალაქად, აქ ჩატარებული დროული, ოპერატიული საინტერესო ღონისძიებებით, ახალგაზრდების ჩართულობით და თვით პენსიონერთა ქომაგობითაც, განა ყველა ასაკის ადამიანი სიბერისაკენ არ მიემართება, თაობათა კავშირი მარადიული და უწყვეტია.

რუსთავის პენსიონერთა კავშირი ჩვენი ქალაქის ოპტიმისტური საზოგადოების სახეა.

ლია მარტაშვილი

კრიმინალი

რუსთავის №1 პოლიკლინიკის დირექტორი და ამავე პოლიკლინიკის ექიმი დაკავებული არიან

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს, ხოლო ერთი პირი ამხილეს.

ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, დანაშაული სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწი-ნებს.

უწყების ცნობით, საქმეზე ჩატარე-ბული გამოძიებით დადგენილია, რომ კერძო სამკურნალო დაწესებულება შპს „ქ. რუსთავის№1 პოლიკლინიკის“ დირექტორმა ი.ნ-მ და ამავე პოლიკლინიკის ექიმმა მ.წ-მ, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც საქართველოში ბინადრობის უფლების ვადის გასვლის გამო დეპორტაციას ექვემდებარებოდა, 2000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, დაუმზადეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობა, ფორმა №100, რომელშიც დააფიქსირეს სხვადასხვა არარსებული დაავადება, რაც ხელს შეუშლიდა შესაბამის სამსახურებს განეხორციელებინათ პირის ქვეყნიდან გაძევება.

„გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. გამოძიების მიმდინარეობისას შესაძლოა გაფართოვდეს დამნაშავე პირთა წრე“,-აღნიშნულია სუს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

განცხადებები, რეკლამა, განცხადებები

რუსთავის ტექინსპექტირების ცენტრი

— მომსახურების მაღალი სტანდარტი
— მისაღები ფასი

მომსახურებას გაგიწევთ დარგის ცნობილი სპეციალისტი **გოჩა სესიტაშვილი.**

ცენტრი მუშაობს ყოველდღე 9-დან 18 საათამდე.

მისამართი: შევჩენკოს №1ა

15 წ. გამოცდილება და ხარისხი რომელსაც შეგიძლიათ დაეყრდნოთ!

Windows სისტემის და არა მხოლოდ ოსტატი

BARABU

568685577

რუსთავში იყიდება კეთილმოწყობილი 3 ოთახიანი ბინა

ახლადგარემონტებული ბინა, აივნის ხარჯზე, 4 ოთახადაა გადაკეთებული. მისამართი: ფალიაშვილის ქუჩა №16, ბინა 46, მე-4 სართული. ფართი 71 კვმ.

ბინა კუთხის მხრიდან გადაყურებს ეკლესიას და შემოსილია ხეებით. სამზარეულო და აბაზანა გაწყობილია კაფელ-მეტლაქში და სრულადაა აღჭურვილი სათანადო ახალი კარადებით და ტექნიკოთ (გაზქურა, მაცივარი). საძინებელი ოთახები და ზალა დაკომპლექტებულია თანამედროვე ავეჯით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და გაგრილების სისტემა. ფანჯრები შეცვლილია მეტალოპლასტმასით, შესასვლელი კარი ლითონისაა. კედელზეა ტელევიზორი. ყველა ოთახშია დამონტაჟებული ლუსტრა.

ფასი: 70 ათასი დოლარი.

ტელ: 598-99-19-55

ავეჯის და ნებისმიერი ტვირთის გადაზიდვა

საქართველოს ნებისმიერი მიმართულებით.

ტელ: 599 62 33 03

ვიბაჩებ მაყულატურას
მაღალ ფასში

გაზეთი, რვეული, ჟურნალი, წიგნი, ფორმატის (ქსეროქსის) ქაღალდი

მისამართი:
მესხიშვილის მე-2 გასასვლელის №4-თან (ავტოსადგომის ტერიტორია)
10-დან 19 სთ-მდე
ტელ: 579 808-818

ქალაქის ავტობუსების საჭეს მალე რუსთაველი ქალბატონები მიუჯდებიან

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა რუსთავის მერიასთან ერთად, ქალების ავტობუსის მძღოლებად მომზადების ახალი პროგრამა დაიწყო



პროგრამის ფარგლებში, რუსთავის ავტოტრანსპორტის საწარმო, ქალების ავტობუსების მძღოლებად გადამზადების მოკლევადიან კურსებზე მიღებას აცხადებს.

– კურსი განკუთვნილია რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ დაეუფლონ ავტობუსის მძღოლის პროფესიას.

– კურსი სრულად ფარავს მომზადების, გამოცდაზე გასვლის, მართვის მოწმობის და ტრანსპორტირების ხარჯებს.

– კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, მონაწილეებს შეეძლებათ „D“ კატეგორიის მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე გასვლა და სურვილის შემთხვევაში, ავტობუსის მძღოლად დასაქმება კერძო და საჯარო სატრანსპორტო კომპანიებში.

–კურსი დაიწყება 2024 წლის 20 მაისს და დასრულდება 7 ივნისს. რეგისტრაცია შეუძლიათ რუსთავში მცხოვრებ:

- 24+ წლის ქალებს;
- რომელთაც გააჩნიათ „D“ კატეგორიის მართვის მოწმობა;
- აქვთ მსუბუქი ავტომობილის მართვის მინიმუმ 1 წლის გამოცდილება.

მონაწილეობისთვის, 15 მაისამდე გაიარეთ რეგისტრაცია და წარადგინეთ პირადობის და „D“ კატეგორიის მართვის მოწმობის ასლები:

- QR კოდით და ონლაინ სარეგისტრაციო ფორმით: ჰტტპს://ფორმ.ჯოტფორმ.ცომ/241062016928048
- ელ-ფოსტით: Qalebiskursi@gmail.com;
- სატრანსპორტო კომპანიაში ადგილზე მიტანით.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას და ავტომობილის მართვის უნარების შემოწმებას.

არ გამოტოვოთ ეს შესაძლებლობა! გადადგით ნაბიჯი პოზიტიური ცვლილებებისთვის! მეტი ქალი სატრანსპორტო სექტორში!

შპს „გაზეთი რუსთავი“
რუსთავი
დირექტორი
ლერი ბარათელი
რედაქტორი
თემურ კობახიძე
გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
599 233-390, 599 908-918
e-mail:gazetirustavi@gmail.com
მისამართი:
რუსთავი, მეგობრობის 32, სასტუმრო „რუსთავი“, მე-2 სართული